

# ქართული ტოპონიმები „გურჯისტანის ვილაიეთის რუკის“ მიხედვით

## ავთანდილ უჯმაჯურიძე, დალი ნიკოლაიშვილი

ისტორიული საქართველოს ტოპონიმოკა საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა მრავალი მათგანი დღემდე არ შემორჩენილა და მხოლოდ ისტორიულმა დოკუმენტებმა, ისტორიულ-ლიტერატურულმა თხზულებებმა და რუკებმა თუ შემოგვინახეს. ცხადია, ეს ტოპონიმები სხვადასხვა დროსაა წარმოქმნილი და სხვადასხვა ისტორიულ პროცესს უკავშირდება.

საქართველოში ტოპონიმთა შეგროვებასა და შესწავლას დიდი ტრადიცია აქვს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში (V-XVIII სს.) შემონახულია არაერთი ადგილის სახელი. ტოპონიმოკური ცნობების შემცველი პირველი საფუძვლიანი გეოგრაფიული ნაშრომი კი XVIII საუკუნეების შუა წლებში იქმნება (ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“). შეიძლება ითქვას, რომ ეს თხზულება პირველი მეცნიერული ნაშრომია თანამედროვე და ისტორიული საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორიის შესახებ.

ქართული ტოპონიმების ამოკითხვა შეიძლება მრავალი კარტოგრაფიული წყაროდანაც – არა მარტო ქართულ, არამედ უცხოენოვან რუკებზეც, თუმცა ამ უკანასკნელზე ხშირად ისინი მოცემულია დამახინჯებული ტრანსკრიპციით.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევს 1920-1930-იან წლებში შედგენილი ქართულენოვანი [ივ. ჯავახიშვილი, 1922; 1923; აღ. ჯავახიშვილი, 1931-1932] და რუსულენოვანი (მათ შორის სხვადასხვა მასშტაბის XIX საუკუნის ზოგადგეოგრაფიული, ე.წ. „ვერსტოკები“ და საბჭოთა ტოპოგრაფიული) რუკები. XX საუკუნეში ჩატარდა მრავალი საინტერესო ტოპონიმოკური კვლევა, რის შედეგადაც საფუძვლიანად იქნა შესწავლილი საქართველოს ესა თუ ის კუთხე, მათ შორის ისტორიული საქართველოს ტერიტორიაც. თანამედროვე საქართველოს მიღმა დარჩენილ ტერიტორიაზე არსებულ ტოპონიმებს მიეძღვნა არაერთი კვლევა. კარტოგრაფიული წყაროებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიული რუკა“ [1923], საქართველოს რესპუბლიკის რუკა“ [1922] და სვ. ციციშვილის „ძველი საქართველოს ანუ გიორგიის რუკა“ [1935-1936], სადაც საკმაოდ დეტალურად არის მოცემული თანამედროვე და ისტორიული საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურა: მდინარეები, მთები, ქედები, სოფლები, ნასოფლარები, მონასტრები, ციხესიმაგრეები, სამიმოსვლო გზები, დასახლებული პუნქტები და სხვ.

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული სახელების კვლევა განხილულია პ. ინგოროყვას ნაშრომებშიც. ამ მხრივ, გამოირჩევა ნაშრომი „გიორგი მერჩულე“, სადაც განხილული აქვს ადგილის ის სახელები, რომლებიც მოხსენიებულია გიორგი მერჩულის “წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” [1954]. ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ი. სიხარულიძის კვლევები [1988].

მეტად საინტერესო ტოპონიმოკური გამოკვლევები აქვს ჩატარებული კ. ხარაძეს. მას საქართველოს ზოგიერთი რეგიონისათვის დადგენილი აქვს ქართული სახელწოდებების ხვედრითი წილი ტოპონიმების საერთო რაოდენობაში და ძველი ქართული ტოპონიმების ცვლილების ხარისხი [ხარაძე, 2000].

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული საქართველოს ტოპონიმების კვლევას მიეძღვნა არაერთი ნაშრომი, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი მაინც სიღრმისე-

ულად არ არის შესწავლილი. წარმოდგენილი ნაშრომი ისტორიული საქართველოს ტოპონიმის მსოფლიო გარკვეულ ასპექტს ეხება და კიდევ ერთი მცდელობაა შეივსოს ის ხარვეზი, რაც ამ კუთხით არსებობს.

საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა საქართველოს ტერიტორია, ადგილმონაცვლეობას განიცდიდა მოსახლეობა, იცვლებოდა მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური სტრუქტურა, სამეურნეო ყოფა. ამ გარემოებების კვლადაკვალ იცვლებოდა ტოპონიმებიც. ზოგადი ჭეშმარიტებაა, რომ ტოპონიმების წარმოქმნა-განვითარება მჭიდროდაა გადაჯაჭვული იმ ხალხების ლექსიკასთან, ტრადიციებთან, ისტორიულ განვითარებასთან, სამეურნეო ყოფასთან და საერთოდ, კულტურასთან, რომლებიც ოდესმე განსახლებულნი ყოფილან ამ ტერიტორიაზე. ამ ისტორიული ცვლილებების ფონზე ხდებოდა გეოგრაფიული სახელების გაქრობა, გარდაქმნა, ადგილმონაცვლეობა, ჩანაცვლება, თუმცა ბევრი მათგანი მეტ-ნაკლები კონსერვატიულობით ხასიათდებოდა და თანამედროვე პერიოდამდეც კი მოადწიეს. ამ თვალსაზრისით აუცილებელია სხვადასხვა წყაროების გამოყენება და მათი ურთიერთშეჯერებით ოდესღაც არსებული ტოპონიმური სურათის რესტროსპექტივის შექმნა.

ისტორიული საქართველოს ტოპონიმის შესწავლისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ალ. ასლანიკაშვილის „გურჯისტანის ვილაიეთის რუკა“<sup>1</sup>, რომლის რედაქტორი იყო ს. ჯიქია [1953]. წარმოდგენილი კვლევა უმთავრესად ეფუძნება სწორედ ამ წყაროს და იგი რუკაზე ასახული ქართული ტოპონიმების ტერიტორიული განაწილების ანალიზის პირველი ცდაა.

რუკა შედგენილია ს. ჯიქიას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“<sup>2</sup> ქართული თარგმანის [1947] მიხედვით. რეტროსპექტული კარტოგრაფირების მეთოდის გამოყენებით, ალ. ასლანიკაშვილმა 1953 წელს შეადგინა „გურჯისტანის ვილაიეთის რუკა“ 1:300,000 მასშტაბში. „გურჯისტანის დავთრის“ თურქული დედანი შესრულებულია 490 მოზრდილი ფორმატის გვერდზე 1595 წელს [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი № 478]. „გურჯისტანის დავთარი“ წარმოადგენს XVI საუკუნის თურქული ხელნაწერი ძეგლის „გურჯისტანის დავთრის“ თარგმანსა და კვლევას [1941; 1958].

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ არის წარმოდგენილი ქართული ტოპონიმები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

1. ტოპონიმების საერთო ნუსხის დადგენა და მისი ანალიზი (გეოგრაფიული მიკუთვნებულობა, თანამედროვე სახელწოდებებთან იდენტიფიკაცია, წარმომავლობა);
2. ქართული ტოპონიმების გამოვლენა და მათი ანალოგების დადგენა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე.
3. გურჯისტანის ვილაიეთში ქართული ტოპონიმების ტერიტორიული განაწილების ზოგიერთი თავისებურების დადგენა.

ამ მიზნით, შეიქმნა გურჯისტანის ვილაიეთის რუკის ელვერსია გეოინფორმაციული სისტემების საფუძველზე და მონაცემთა ბაზა, სადაც შევიდა სხვადასხვა ცნობები ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის შესახებ (გეოგრაფიული ობიექტის

<sup>1</sup> შემდგომ „გურჯისტანის რუკა“.

<sup>2</sup> შემდგომ „გურჯისტანის დავთარი“.

ტიპი, მდებარეობა, ადმინისტრაციული მიკუთვნებულობა, ტოპონიმის წარმომავლობა და სხვ.).

„გურჯისტანის რუკაზე“ დატანილია გურჯისტანის ვილაიეთის საზღვარი და მის ფარგლებში მოქცეული გეოგრაფიული ობიექტები. თუმცა მასზე ასევე ასახულია გურჯისტანის ვილაიეთის გარეთ მდებარე ტერიტორიებიც როგორცაა შავშეთი, კლარჯეთი, თორთომი და საქართველოს სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები. ცხადია, ამ ტერიტორიების ფარგლებში რუკაზე დატანილია გეოგრაფიული ობიექტების მცირე რაოდენობა, თუმცა ისინიც არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამიტომ წარმოდგენილი ნაშრომი მათ შესახებაც იძლევა ინფორმაციას.

გურჯისტანის ვილაიეთი მდებარეობდა უმთავრესად მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში და მოიცავდა როგორც თანამედროვე (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ისე ისტორიული საქართველოს ტერიტორიებს (არტაანი, კოლა, ფოცხოვი, ჩრდილი). ვილაიეთის მცირე სამხრეთი ნაწილი მოიცავდა მდ. ოლთისისწყლისა და მისი მარჯვენა აუზის მდინარეების – ბარდუსისწყლის, ბანისწყლის გარკვეულ ნაწილს. ადმინისტრაციულად კი შედიოდა ოლთისისა და ფანაკის ლივებში.

გურჯისტანის ვილაიეთის ფართობია 15204 კმ<sup>2</sup>, რაც თანამედროვე საქართველოს საერთო ფართობის 1/5-ზე მეტია. იგი აღემატება ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ერთად აღებულ ფართობს. ამ ტერიტორიის მეტი ნაწილი (8681 კმ<sup>2</sup>) დღეს თანამედროვე საქართველოს ფარგლებს გარეთაა. ვილაიეთი მოიცავდა უმთავრესად მდ. მტკვრის ზემო წელის და მდ. ჭოროხის მარჯვენა შენაკადის – ოლთისისწყლის აუზებს. როგორც ცნობილია, ამ ტერიტორიამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები განიცადა, რასაც ლოგიკურად მოჰყვა გეოგრაფიული სახელწოდებების მასობრივი შეცვლა.

როგორც „გურჯისტანის დავთრიდან“ ირკვევა, XVI საუკუნეში ოსმალეთში ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის 3 დონე არსებობდა: ვილაიეთი → ლივა (სანჯაყი) → ნაჰიე (რაიონი). თვით გურჯისტანის ვილაიეთი ადმინისტრაციულად იყოფოდა 9 ლივად და 37 ნაჰიედ. ეს ლივებია (ნახ. 1): ახალციხის (I), ხერთვისის (II), ახალქალაქის (III), ჩრდილის (IV), ფოცხოვის (V), პეტრეს (VI), დიდი-არტაანის (VII), ფანაკის (VIII) და ოლთისის (IX).


რუკასა და დავთარში მოცემულია: 1200-ზე მეტი ობიექტი, აქედან 291 მდინარე (მ.შ. 15 სახელდებული); 11 ტბა (მ.შ. 7 სახელდებული); 3 გადასასვლელი; 1000-ზე მეტი სოფელი; 56 მამული, სათესველი, იალაღი, გამოსაღები; ათეულობით ტაძარი, ეკლესია, მონასტერი და ციხე.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ტოპონიმების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულია, რაზეც მრავალი ფაქტი მეტყველებს. ზოგიერთი ტოპონიმის წარმომავლობაზე განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული სხვადასხვა მეცნიერის მიერ, თუმცა არის სახელწოდებები, რომელთა ქართულ წარმომავლობაში ეჭვის შეტანა წარმოუდგენელია. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს.

ვილაიეთის ტერიტორიაზე 6 აგარა ყოფილა: ახალციხის ლივის მზვარეს ნაჰიეში (ასპინძის, აწყურის, ელიაწმინდის, ჭაჭარაქის<sup>1</sup>), ახალციხის ლივის აწყურის

<sup>1</sup> სახელწოდებების აღრევის თავიდან აცილების მიზნით, რაკი არ არის დადგენილი მათი ზუსტი ლოკალიზაცია, მათ სახელს თან ერთვის უახლოესი დასახლებული პუნქტის სახელი. მაგალითად, ელიაწმინდის აგარა ნიშნავს, რომ ეს აგარა მდებარეობდა სოფელ ელიაწმინდის სიახლოვეს.

ნაპიეში (დემოთიას აგარა), ფოცხოვის ლივის მზვარეს ნაპიეში, მდ. ფოცხოვის-წყლის მარცხენა მხარეს, ამჟამად თურქეთშია. „გურჯისტანის დავთრის“ მიხედვით ერთადერთი „აგარა“, რომლის ზუსტი ლოკალიზაციაა განსაზღვრული. აგარის სახელწოდებით, ან ამ სიტყვიდან ნაწარმოები (აგარაკი, აგარანი) მრავალი ტოპონიმი ცნობილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.



**ნახ. 1. გურჯისტანის ვილაიეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა**

მრავლად გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც დაკავშირებული ქრისტიანობასთან ან რომელიმე საეკლესიო პირის საქმიანობასთან. ეს ფრიად დამახასიათებელი მოვლენაა და საქართველოს თითქმის ყველა კუთხისათვისაა დამახასიათებელი. ანალოგიური ვითარება ყოფილა გურჯისტანის ვილაიეთშიც. სიტყვა „წმინდა“-თან დაკავშირებულია 14 ტოპონიმი, მათგან 2 თანამედროვე საქართველოს მიღმაა: **ანდრიაწმინდა** (ახალციხის ლივის ჭაჭარაქის ნაპიეში), **გიორგიწმინდა**, **კვირიკეწმინდა** (სოფელი ახალციხის ლივის აწყურის ნაპიეში), **გიორგიწმინდა** (სოფელი ახალციხის ლივის ჭაჭარაქის ნაპიეში), **გიორგიწმინდა** (ახალქალაქის ლივის თმოგვის ნაპიეში), **ელიაწმინდა** (ახალციხის ლივის მზვარეს ნაპიეში), **ზაქარწმინდა** (სოფელი ახალციხის ლივის ტყიანი ჯავახეთის ნაპიეში), **ზაქარწმინდა** (სოფელი ჩრდილის ლივის ჯანბაზის ნაპიეში, ჩრდილის ტბის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ამჟამად თურქეთშია), **ზედაწმინდა** (სოფელი ფოცხოვის ლივის მზვარეს ნაპიეში, მდ. ფოცხოვისწყლის მარცხენა მხარეს. ამჟამად თურქეთშია. უმოსახლო სოფელია), **მამაწმინდა** (ახალციხის ლივის ასპინძის ნაპიეში. ამავე სახელწოდების ტოპონიმები დღესაც გვხვდება საქართველოში, მაგალითად, მამაწმინდის ეკლესია სოფ. ხევში, მამაწმინდისდელე არის სოფლებს ერკეთსა და ხევს შორის – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. მამაწმინდის ეკლესია მდებარეობდა ისტორიულ კლარჯეთშიც), **მარიამწმინდა**, **მიქელწმინდა** (ახალციხის ლივის მზვარეს ნაპიეში),

**სტეფანწმინდა** (ჩრდილის ლივის მზვარეს ნაჰიეში), **წმინდა-ელია** (დიდი არტაანის ლივის მზვარეს ნაჰიეში, **არყისციხე** – (ფოცხოვის ლივის ჩრდილის ნაჰიეში), **გელციხე**, იგივე **მგელციხე** (ახალქალაქის ლივის ნიალისყურის ნაჰიეში. ამჟამად თურქეთშია), **ვარდციხე** (ახალციხის ლივის ტყიანი ჯავახეთის ნაჰიეში), **თეთრი ციხე** (ჩრდილის ლივის ჯანბაზის ნაჰიეში. ამჟამად თურქეთშია), **კოხთას ციხე**, **ფერისციხე** (ახალციხის ლივის ასპინძის ნაჰიეში), **ოქროსციხე** (ახალციხის ლივის ოქროსციხის ნაჰიეში).

მრავალ ტოპონიმს საფუძვლად უდევს ადგილის გეოგრაფიულ პირობებთან – ოროგრაფიასთან, ჰიდროგრაფიულ ქსელთან დაკავშირებული სახელებიც. ზოგიერთ ტოპონიმში ასახულია რელიეფური პირობები. სიტყვა „მერე“, რომელიც ერთ დროს ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელ საქართველოში. იგი ნიშნავს მდინარისპირა ვაკეს: „არს მდინარის კიდე“ [ორბელიანი, 1991. გვ. 465], „მდინარის პირა ვაკე“ [ჭუმბურიძე, გვ. 413]. ეს სიტყვა დღეს შემონახულია გურულ და აჭარულ დიალექტებში. „მერე“ აჭარული გამოთქმით ნიშნავს აგრეთვე ნაკვეთს, რომელზეც დიდი ხანია აღარ ითვისება [ბაქრაძე, 1987. გვ. 156]. არსებობს მოსაზრება, რომ „მერე“ ნიშნავს ტბას, დამდგარ წყალს [ცხადაია, 2013. გვ. 233]. სიტყვა „მერე“ ფართოდ არის გამოყენებული მიკროტოპონიმიაშიც აჭარაში, გურიაში, რაჭაში, სამეგრელოში და საქართველოს სხვა კუთხეებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა აღარ გამოიყენება ქართულ არც სალიტერატურო და არც სალაპარაკო ენაში, მასთან დაკავშირებული ტოპონიმები დღემდეა შემორჩენილი საქართველოში, მაგალითად, სოფლები: **მერევი** (ჭიათურის მუნიცი.), **მერია** (ოზურგეთის მუნიცი.), **ჯუნმერე** (ლანჩხუთის მუნიცი.) და სხვ. ასევე მრავლად გვხვდება იგი მიკროტოპონიმიაშიც: **მერე**, **მერეწყარი**, **მერიეთი** და სხვ. [ცხადაია, 2012; ცხადაია, ჯოჯუა, 2005]. ასევე ყოფილა იგი გავრცელებული გურჯისტანის ვილაიეთში. „რუკაზე“ და „დავთარში“ ამ სიტყვასთან დაკავშირებული 2 ტოპონიმია დატანილი: **მერე** (სოფელი ფოცხოვის ლივაში, მზვარეს ნაჰიეში, მდ. ფოცხოვისწყლის მარცხენა მხარეს. ამჟამად თურქეთშია) და **მერენესი** (სოფელი ფანაკის ლივასა და ნაჰიეში, მდ. ბანისწყლის (ოლთისისწყლის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს. ამჟამად თურქეთშია).

განსაკუთრებით ბევრია **ხევთან** დაკავშირებული ტოპონიმები. ასეთი 20-ზე მეტია, მათ შორის 8 თანამედროვე საქართველოს მიღმაა: **გუნდუსხევი** (ჩრდილის ლივის ჯანბაზის ნაჰიეში. ამჟამად თურქეთშია), **თავაშისხევი**, **ჩითახევი**, **ჭობისხევი** (პეტრეს ლივის პეტრეს ნაჰიეში), **თეთრისხევი**, **სამზიოსხევი**, **ჭობისხევი** (ხერთვისის ლივის ბუზმარეთის ნაჰიეში), **თოროსხევი დიდი**, **თოროსხევი პატარა**, **თოროსხევი შუა** (სოფლები დიდი არტაანის ლივის მზვარეს ნაჰიეში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. ამჟამად თურქეთშია), **იმერხევი** (მდინარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ჭოროხის მარჯვენა შენაკადი. ამჟამად თურქეთშია), **კორისხევი** (ახალქალაქის ლივის ნიალისყურის ნაჰიეში), **მალულისხევი**, **საყავრისხევი** (ახალციხის ლივის ჭაჭარაქის ნაჰიეში), **მლაშისხევი**, **ფერისხევი** (ახალციხის ლივის ასპინძის ნაჰიეში, **საკველახევი** (სოფელი ჩრდილის ლივის მგელციხის ნაჰიეში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. ამჟამად თურქეთშია), **სეფისხევი** (დიდი არტაანის ლივის ჩრდილის ნაჰიეში), **წისქვილისხევი** (სოფელი დიდი არტაანის ლივის მზვარეს ნაჰიეში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. უმოსახლო სოფელია. ამჟამად თურქეთშია), **ხადისხევი** (ხერთვისის ლივის ტყიანი ჯავახეთის ნაჰიეში), **ჯვარისხევი** (სოფელი დიდი არტაანის ლივაში, ტყიან ნაჰიეში. ამჟამად თურქეთშია).

გვხვდება წყალთან დაკავშირებული ტოპონიმებიც. მათი უმეტესობა ჰიდრონიმებია: **იდისწყალი** (მდინარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ოლთისში, მდ. ოლთისისწყლის მარცხენა აუზი. ამჟამად თურქეთშია), **სევრისწყალი** (მდინარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ოლთისისა და ფანაკის ლივებში, ოლთისისწყლის მარცხენა შენაკადი. სათავეს იღებს ახპუსორის გადასასვლელიდან. ამჟამად თურქეთშია), **ჩრდილის წყალი** (მდინარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ჩრდილის ლივაში, მდ. ყარსისწყლის მარცხენა შენაკადი, გამოედინება ჩრდილის ტბის სამხრეთ ნაწილიდან. ამჟამად თურქეთშია), **ჯაყისწყალი** (მდინარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ფოცხოვის ლივაში, მდ. ფოცხოვისწყლის მარჯვენა შენაკადი. ამჟამად თურქეთშია). სიტყვა „წყალი“ ასახულია არა მხოლოდ ჰიდრონიმიში. იგი გვხვდება სოფლის სახელწოდებაშიც. თუმცა ასეთი ერთადერთი შემთხვევაა – სოფელი **შუარწყალი** (ფოცხოვის ლივის მზვარეს ნაპიეში, მის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ფოცხოვისწყლის მარცხენა მხარეს. ამჟამად თურქეთშია).

გურჯისტანის ვილაიეთის ფარგლებში გვხვდება აგრეთვე ტოპონიმები – **მზვარე** და **ჩრდილი**, რომელიც ასევე გავრცელებულია თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე. ძველ საქართველოში ზედაპირის ექსპოზიციის გამოსახატად სიტყვებს „მზვარეს“ და „ჩრდილს“ ფართოდ იყენებდნენ. ამ სიტყვების ფართო გავრცელებაზე მოწმობს ის გარემოებაც რომ ისინი საკუთარ სახელებად შემორჩნენ. მაგალითად, იმერეთში ერთ-ერთ მთის სამხრეთ მზიან ფერდობზე გაშენებულ სოფელს **ზვარე** ეწოდება, მისი დიალექტური ფორმაა **მზვარე** [ჯიქია, 1950]. ეს ტოპონიმი ასევე გვხვდება აჭარაში, იმერეთში (**ზვარე**), ზემო რაჭაში (**ზვარეთი**), ქართლში (**მზვარეთი**) და ყველგან ცალსახად სამხრეთ ექსპოზიციაზე და მის კარგ განათებულობაზე მიგვანიშნებს. იგივე ითქმის „ჩრდილზეც“. ეს ტოპონიმი გვხვდება: იმერეთში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, მესხეთ-ჯავახეთში. „გურჯისტანის დავთრის“ მიხედვით კი ერთი და იგივე მთის მოპირდაპირე მხარეებიცაა ამ ორი ტოპონიმით – ჩრდილითა და მზვარეთი აღნიშნული.

სიტყვა „**მზვარე**“, სულხან საბას მიხედვით, ნიშნავს „ადგილს მზის მდევს, სადაც ადგილი მოთბოა“ [ორბელიანი, 1991]. სიტყვა „**ჩრდილი**“ კი პირიქით, ჩრდილოეთის ექსპოზიციის, მზისგან დაჩრდილულ ადგილს აღნიშნავს. სულხან საბას მიხედვით „ჩრდილო ეწოდება ადგილს „სადა მზის შუქი არა დგეს“ [ორბელიანი, 1991]. ქართული ოთხთავის ძველ ორ რედაქციაში „ჩრდილოეთის აღსანიშნავად „ჩრდილო“ გვხვდება.

თანამედროვე ქართულშიც შემორჩა ეს ორი სიტყვა – „ჩრდილი“ და „მზვარე“, უფრო მეტად კი „ჩრდილი“, თუმცა მას დღეს ჩრდილოეთის ექსპოზიციის მნიშვნელობით აღარ იყენებენ.

„ჩრდილის თურქიზებული ფორმაა „ჩირდილ, რადგანაც თურქებს უჭირთ სამი თანხმოვნის **ჩრდ** ერთად წარმოთქმა, მოხდა ბგერათა გადანაცვლება და მივიღეთ სიტყვა „ჩირდილ“. ასე მივიღეთ მაგალითად ჩრდილის ტბის გადათურქებული გამოთქმა ჩირდილის ტბა [ჯიქია, 1950]. იგივე ითქმის ტბის მიმდებარე ქედზეც – ჩრდილის ქედზე, რომელიც საქართველო-თურქეთის საზღვარზეა.

ყურადსაღებია ტოპონიმი **ტბეთი**. ძველად იგი შავშეთის მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. შავშეთში, „*მიქელეთსა და სათლელს შორის ვაკეზე*“ ფრანგი მოგზაური ჟან მურიე ასახელებს სოფ. ტბეთს, რომელიც იმ

დროს “ხეხილით მოსავლიანი ყანებითა და ბარაქიანი საძოვრებით გარშემორტყმული” ყოფილა. მისივე ცნობით, აქ შემორჩენილი იყო მოწითალო ქვისაგან ნაგები ტაძრის ნანგრევები, სადაც ჯერ კიდევ გაირჩეოდა კედლის მხატვრობის კვალი [მურიე, 1962]. ტბეთი ჰიდრონიმია. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ტბეთში “არს კელესია გუნბათიანი, მდიდრად ნაგები და დიდმშენიერ”, ხოლო სახელი მან მიიღო ტბების სიმრავლის გამო: „... მან მოიგო სახელი ესე მუნ მეოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან“ [ვახუშტი IV. გვ. 479]. მართლაც, არსიანის ქედის თხემსა და მის მთისწინეთშიც მრავალი პატარ-პატარა ტბაა და ცხადია, ტოპონიმიც აქედან უნდა იყოს წარმოქმნილი. საინტერესოა ა. შანიძის მოსაზრება ტბეთის შესახებ. მას იგი გვიანდელ ფორმად მიაჩნდა და ასკვნის, რომ ამ სიტყვის ძველი ფორმა ტბევი უნდა ყოფილიყო. **გვ** – ი მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელია. ამ სიტყვის ძველი ფორმა შემონახულია მ-ტბ-ევ-არ-ში. უკანასკნელი ფორმა ნაწარმოებია მეგრულ-ჭანური სუფიქსით, ხოლო თავსართი მ-ანი ძველ ქართულში ჩვეულებრივ იხმარებოდა წარმომავლობის მაჩვენებელ სახელებში [ნიკოლაიშვილი, კირთაძე, 2003]. შავშეთის გარდა, ტბეთი სოფლის სახელად საქართველოს არაერთ კუთხეში (აჭარა, რაჭა, შიდა ქართლი) არის დადასტურებული [სიხარულიძე, 1988. გვ. 37].

გურჯისტანის ვილაიეთში გვხვდება ქვასთან, კლდესთან დაკავშირებული ტოპონიმებიც. კ. ხარაძის აზრით, „კლდის სვეტები და კოშკები წარმოქმნილია დედამიწის ზედაპირის ხანგრძლივი დენუდაციის შედეგად. განსაკუთრებით ბევრია ასეთი ფორმები თოვლიან სარტყელსა და საშუალომთიან ზონაში. კლდის სვეტები დედამიწის მრავალ კუთხეშია, ბევრ მათგანზე ასვლა მხოლოდ თოკებით და კიბეებით შეიძლება“ [ხარაძე, 2014. გვ. 135]. ასეთ სვეტებს ქართველი კაცი სახელს არქმევდა იმისდა მიხედვით, რასაც მას მიამსგავსებდა. ერთი ასეთი ტოპონიმი – **ქვაკაცი** გვხვდება გურჯისტანის ვილაიეთშიც – ჩრდილის ლივაში, ჯანბაზის ნაპიეში, ჩრდილის ტბის ჩრდილოეთით, ამჟამად თურქეთშია. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, ძველად „ქვაკაცს“ მიჯნის ნიშნადაც იყენებდნენ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიხედვით „ქვა-კაცი“ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებსა და ფოლკლორში „აყუდებულ ვეებერთელა დაუმუშავებელ ან ოდნავად დამუშავებულ ქვებს ეწოდება“. „ქვაკაცებს“ ზოგჯერ დგამდნენ სოფლების საზღვრების დასადგენად. სწორედ ამის დასტურია ასეთი ტერმინების ფართოდ გავრცელება. მაგალითად, „დასტურდამალში“ ნათქვამია „მაღლა რომ სამი ქუა-კაცი ზის ან „ქუა-კაცას ზეით“ და სხვა. ტოპონიმი „ქვაკაცი“ ქვაკაცების კრებითი სახელია“ [ჯიქია, 1950. გვ. 198-201; ბერძენიშვილი, 1964. გვ. 381].

ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება წარმოქმნილია სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების (გამაგრება, **ციხესიმაგრე**) სახელიდან და მიგვანიშნებს გარკვეულ პერიოდში ქვეყნის აღმავლობა-სიდიადეზე ან პირიქით, დაცემა-დაბეჩაგებაზე. „გურჯისტანის რუკაზე“ თანამედროვე საქართველოს ფარგლებში ასეთი არაერთი ტოპონიმი (ახალციხე, ვარდციხე, ოქროსციხე, პეტრეს ციხე, იგივე ყვერბილი, ფერისციხე) ასახული. „გურჯისტანის დავთარში“ კი ასეთი კიდევ ორი ტოპონიმი: არყისციხე და კოხთას ციხე. თუმცა ისტორიულ ტერიტორიაზე არ არის აღნიშნული არცერთი ტოპონიმი, რომელიც დაკავშირებულია სიტყვა „ციხე“-სთან.

ტოპონიმების ქართველურ წარმომავლობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი ტოპონიმი წარმოქმნილია ქართული გეოგრაფიული სახელებისათვის დამახასიათებელი მაწარმოებელ **ნი**, **ეთ**, **თა** და **ათ** სუფიქსებით. როგორც ნ.

ბერძენიშვილი აღნიშნავდა **ეთ**, **ათ** და **თა** სუფიქსები ტოპონიმებში მრავლობითი ნიშნის აღმნიშვნელია და ისინი არა მარტო სიმრავლეს, არამედ ადამიანთა კოლექტივის ადგილსამყოფელსაც გულისმობენ [ბერძენიშვილი, 1990]. ეს ტოპონიმები უმთავრესად გამოიყენება სხვადასხვა კუთხეების ან დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად. თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ასეთია: **აფხაზეთი**, **ერუშეთი**, **თუშეთი**, **კვირიკეთი**, **ფერსათი**, **ჯავახეთი** და სხვ. ასეთი ტოპონიმები საკმაოდ ბევრია დატანილი „გურჯისტანის რუკაზე“ ისტორიული საქართველოს ფარგლებში: **ბერთა**, **კლარჯეთი** (კლარჯეთი, გურჯისტანის ვილაიეთის მიღმა), **ტბეთი**, **შავშეთი** (შავშეთი, გურჯისტანის ვილაიეთის მიღმა). მრავალადაა ასეთი ტოპონიმები გურჯისტანის ვილაიეთის ტერიტორიაზეც, მათ შორის მის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში, რომლებიც დიდადაა დაშორებული თანამედროვე საქართველოს: **აკამეთი**, **ტებათი** (დიდი არტაანის ლივა, ჩრდილის ნაპიე), **გუდანეთი**, **მაჩუეთი**, **ფუჩხულეთი**, **ხოშულეთი** (დიდი არტაანის ლივა, ტყიანი ნაპიე), **გულაბერთი** (დიდი არტაანის ლივა, ტყიანი ნაპიე), **ნორბერთი** (ფანაკის ლივა, ფანასკერტის ნაპიე), **ხენძორეთი** (ოლთისის ლივა), **ფანჯურეთი** (ფანაკის ლივა, ქიამხისის ნაპიე) და სხვ.

ისტორიული პროცესების შედეგად, განსაკუთრებით კი XVI საუკუნიდან მოყოლებული, ადგილობრივ ქართულ ტოპონიმებს ჩაენაცვალა თურქული სახელწოდებები, მოხდა მათი გარდაიქმნა და ფონეტიკური ცვლილებები. ამიტომ მრავალი მათგანის ეთნიკური მიკუთვნებულობის საკითხის გარკვევა რთულია და ლოგიკურად, აზრთა სხვადასხვაობასაც იწვევს. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი არ ყოფილა ამ რთული საკითხის გარკვევა (ეს სხვა კვლევის მიზნად შეიძლება მივიჩნიოთ). ამჟამად ჩვენ შევეცადეთ გურჯისტანის ვილაიეთის ცალსახად ქართული წარმომავლობის ტოპონიმების წილის წარმოჩენას და იმის დადგენას, თუ რამდენად თანაბრადაა ისინი განაწილებულნი მთელ მის ტერიტორიაზე.

„გურჯისტანის რუკის“, აგრეთვე „გურჯისტანის დავთრის“ გეოგრაფიული ნომენკლატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვანთ, რომ გეოგრაფიული სახელწოდებების დიდი ნაწილი ქართული წარმომომავლობისაა თავიანთი ორთოგრაფიითა და გრამატიკული ფორმებით. ამასთან მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ანალოგიური სახელწოდებების ობიექტები დღესაც გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ტოპონიმების ასეთი უხვი მსგავსება თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ამ ნაწილს შორის ოდითგანვე არსებული ერთიანობის კიდევ ერთი უტყუარი დასტურია.



## ლიტერატურა

1. ასლანიკაშვილი ალ. გურჯისტანის ვილაიეთის რუკა. თბ., 1953. რედ. ს. ჯიქია. მასშტაბი 1:300,000.
2. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი: „საბჭოთა აჭარა“, 1987.
3. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი 1. თბ., 1964.
4. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბ., 1990.
5. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1973.
6. ინგოროყვა პ. თხზულებათა სრული კრებული. ტ. 3. გიორგი მერჩულე. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1965.
7. მელიქსედ-ბეგი ლ. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბ., 1938.
8. მურიე ჟ. ბათუმი და ჭოროხის აუზი. თბ., 1962.
9. ნიკოლაიშვილი დ., კირთაძე დ. ტოპონიმები და გეოგრაფიული გარემო გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით“. ჟ: „კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი“, № 2, 2003. გვ. 86-95.
10. ორბელიანი სულხან საბა. ლექსიკონი ქართული. ტ. 1-2. თბ.: „მერანი“, 1991; 1993.
11. სიხარულიძე ი. შავშეთ-იმერხევი. ბათუმი, 1988.
12. ჭუმბურიძე ზ. დედაენა ქართული. თბ., 1987.
13. ჭუმბურიძე ზ. რა გქვია შენ? თბ.: „ნაკადული“, 1971.
14. სვ. ციციშვილი. ძველი საქართველოს ანუ გიორგიის რუკა. პარიზი, 1935-1936.
15. ცხადაია პ. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებები. VI. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი). თბ.: „უნივერსალი“, 2012.
16. ცხადაია პ. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებები. VII. სენაკის რაიონი. თბ.: „უნივერსალი“, 2013.
17. ცხადაია პ., ჯოჯუა ვ. რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებები. თბ.: „უნივერსალი“, 2005.
18. ხარაძე კ. საქართველოს ბუნების ძეგლები. თბ., 2014.
19. ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ზემო ქართლი. თბ., 2000.
20. ჯავახიშვილი ალ. საქართველოს სსრ საზოგადო რუკა. თბ., 1931-1932.
21. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ისტორიული რუკა. თბ., 1923.
22. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს რესპუბლიკის რუკა. თბ., 1922.
23. ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. 1. 1947; წგნ. 2. 1941; წგნ. 1958.
24. ჯიქია ს. სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. XI თბ., 1950. გვ. 185-201.

# Georgian toponyms in “Gurjistan Governorate Map”

## Resume

**Avtandil Udjmadjuridze, Dali Nikolaishvili**

The toponymy of historical Georgia is quite diverse; however, many of the toponyms are no more in use now, but survive in historical documents, historical-literary compositions and maps only. Clearly, these toponyms were originated at different times and are associated with different historical processes.

One of the important sources to study the toponymy of historical Georgia is “The Register of Gurjistan Governorate Map” by Al. Aslanikashvili, with S. Djikia as its editor [1953]. The present study is mainly based on this source and is the first attempt to analyze the territorial distribution of Georgian toponyms given in the Register.

The study was done in several stages:

1. Development and analysis of a general list of toponyms (geographical background, identification in relation to modern names, origin).
2. Identification of Georgian toponyms and their analogues on the territory of present Georgia.
3. Identification of the territorial distribution of Georgian toponyms in Gurjistan Governorate.

With this thought in mind, we developed an e-version of Gurjistan Governorate Map based on the Geo-Information Systems, as well as a database to include various data about different geographical objects (type, location, administrative affiliation of a geographical object, origin of its toponym, etc.).

Based on the analysis of the geographical nomenclature of “Gurjistan Governorate Map” and “The Register of Gurjistan Governorate Map”, we can assume that most of the geographical names are of a Georgian origin with their orthography and grammar forms. Besides, the fact of the objects with the same names found in different corners of Georgia to date is important. Such a clear similarity between the toponyms in this region of present and historical Georgia is another valid proof of their unity since the ancient times.